# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს



## ძვირფასო ასპინძელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!
თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.
„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.
ჩვენ მიერ წარდგენილი ასპინძის მერობის კანდიდატისა და ასპინძის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ასპინძის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ასპინძა და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.
სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

ასპინძა

# ასპინძის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 5,3 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 11,8 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ასპინძის მუნიციპალიტეტში,** 2015-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„დანერგე მომავალი“** 1 ჰა-ზე განხორციელდა 1 პროექტი (ინვესტიცია 14 999 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამაით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, 295 ჰა დაიზღვა (მოსავლის ღირებულება 2 672 612 ლარი), რითაც ისარგებლა 194-მა ბენეფიციარმა და ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალი 105 732 ლარით ანაზღაურდა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეისათვის მოქმედებს 13 კოოპერატივი (175 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 1 344 450 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით** ჯამურად 6 671 123 ლარის პროექტები განხორციელდა (სახელმწიფოს თანამონაწილეობა 970 583 ლარი), რითაც 230-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** 2 პროექტის ინვესტიციამ ჯამურად 123 091 ლარი შეადგინა, თანადაფინანსება 49 237 ლარი. 2020 წლიდან ხორციელდება **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა,** რომლითაც 13 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამური ინვესტიცია 692 697 ლარი, თანადაფინანსება 492 938 ლარი). ასპინძაში **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 1 612 808 ლარი დაიხარჯა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 500 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;


დაბა ასპინძაში, ერეკლე II, რუსთაველის, ტაბიძის ქუჩების და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია (ცენტრალური პარკი)

- ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.** ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტში, **„მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის“** ფარგლებში, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 586 231 ლარის გრანტი გაიცა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 780 728 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 77 პროექტი, მათ შორის არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 43, ხოლო ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 34 პროექტი.

- მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;
- წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.** ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, **აშენდა** 2 ჰიდროელექტროსადგური (ფარავანი ჰესი და დვირულა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 88,53 მეგავატს შეადგენს, ხოლო წლიური გამომუშავება 420 მლნ კვტ/სთ. **მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა: მტკვარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 53 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 230 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 115 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 7,5 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 39,2 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 20 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი 2** (დადგმ. სიმძლავრე 1,6 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 9,8 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 5,5 მლნ აშშ დოლარი); **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა: ანდეზიტ ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 1,1 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 4,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 1,6 მლნ აშშ დოლარი); **ტაშისკარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 0,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 6,9 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 1,5 მლნ აშშ დოლარი); **პლატო ჰესი-ბორჯომჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 11,8 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 43,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 13,6 მლნ აშშ დოლარი); **არაკალი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 1,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 14,1 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 3,7 მლნ აშშ დოლარი);

**ასპინძის მუნიციპალიტეტში,** 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 782 აბონენტი. 2024 წელს სრულად დასრულდება ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირება. **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.


სოფელ ხერთვისში საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ასპინძის მუნიციპალიტეტში, ტურიზმის განვითარების მიზნით, 2013-2019 წლებში, განხორციელდა:** კურორტ „ასპინძაში“ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; სოფლებში ნაქალაქევი და თმოგვი, სამონასტრო კომპლექსის ვანის ქვაბებისა და წუნდას ეკლესიის მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; ასპინძაში, წმინდა გიორგის სახელობის ხვილიშისა და წმინდა გიორგის სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სოფელ ოთაში, სამონასტრო კომპლექსი „შორეთის“ რეაბილიტაცია; სოფელ ჭობარეთის ანტიკური ხანის ნამოსახლარისა და სოფელ ძველში რაბათის ციხის არქეოლოგიური კვლევა; ვარძიის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფლების დამალისა და აწყვიტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების რეაბილიტაცია; ახალი ტურისტული მარშრუტებისა და ტურისტული ბილიკების დაგეგმვა– პასპორტიზაცია.

**ასპინძაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია** მესხური ოდებისა და ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლების რეაბილიტაცია, სარეკრეაციო ზონების შექმნა, დაბა ასპინძაში კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია, ფეხბურთის სტადიონის, სპორტული მრავალფუნქციური კომპლექსის, შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო მუზეუმის მშენებლობა, ახალი ტურისტული ბილიკების დაგეგმარება-პასპორტიზაცია.

- „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;
- 2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს შეიქმნა **ერუშეთის ეროვნული პარკი,** რომელიც მოიცავს ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებს, საერთო ფართობით 1 385 ჰექტარი.

2017 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია** და მომზადდა ტყის მართვის 10 წლიანი გეგმა. 2020 წელს ტყის აღდგენის ღონისძიებები განხორციელდა 63 ჰაზე, 2012 წლიდან მიმდინარეობს ნაძვის ხმობის გამომწვევი მავნე მწერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ფერომონიანი მწერსაჭერების გამოყენებითა და სანიტარული ჭრებით.

2013-2020 წლებში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 61 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** 2014-2021 წლებში, ასპინძა-ახალქალაქის ტერიტორიაზე, **ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში,** დამზადდა 11 421,3 კბ.მ ხე-ტყე. ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული ხე-ტყის დამზადების ღონისძიებები უზრუნველყოფს ადგილზე სამუშაო ადგილების შექმნას, ბაზარზე ხე-ტყის ხელმისაწვდომობასა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ინსპექტირება.

- სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);
- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში ასპინძაში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 24 მლნ ლარმდე დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 14 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 984 ათასი ლარის კომპენსაცია გამოყო.

**ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ასპინძის ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 9 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1 191 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.**

2014-2020 წლებში, ასპინძის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად 3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.



სოფელ ტოლოშის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა

## 2021-2022 წლებისთვის ასპინძის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. ტოლოშის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა – პროექტის ღირებეულება 197 682 ლ;
- სოფელ ნაქალაქევში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია – 331 536 ლ;
- დაბა ასპინძასა და სოფ. ოშორაში გზის დამცავი საყრდენი კედლების მოწყობა – 81 320 ლ;
- დაბა ასპინძაში ქუჩების რეაბილიტაცია – 676 869 ლ;
- სოფელ დამალაში შიდაგზის რეაბილიტაცია (მრავალწლიანი შესყიდვა) – 947 702 ლ;
- სოფ. ხიზაბავრაში სასმელი წყლის  ქსელის რეაბილიტცია – 359 967 ლ;
- დაბა ასპინძაში მდ. ოთისწყალზე და სოფელ აწყვიტაში ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა – 23 400 ლ;
- დაბა ასპინძაში, სპორტული მოედნის რეაბილიტაცია – 104 000 ლ;
- დაბა ასპინძაში სასაფლაოს გზის მიმდებარედ არსებული გრუნტის გატანა – 18 801 ლ.



დასრულდა ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით დაბა ასპინძაში გურამიშვილისა და ერეკლე II ქუჩების დამაკავშირებელი წყალგამტარი მილხიდის, ნაპირსამაგრი გაბიონების და გზის სამშენებლო სამუშაოები

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# როსტომ მაგრაქველიძე: „მინდა, ასპინძა განახლებული და მიმზიდველი მუნიციპალიტეტი იყოს“

**„თითოეული ჩვენი გაკეთებული საქმე, ასპინძის მუნიციპალიტეტის განვითარებას, გალამაზებას, აქ მცხოვრები ადამიანების გახარებას ემსახურება, ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, როდესაც ადამიანებისგან მიიღებ ნდობას, რომ მუნიციპალიტეტი მართო და მასზე იზრუნო, უკეთესი გახადო. ეს მუნიციპალიტეტი ყველას საერთო საკუთრებაა და ყველანი ვართ პასუხისმგებელი, რომ არსებულ გამოწვევებს გავუმკლავდეთ და მომავალ თაობებს განვითარებული, წარმატებული ასპინძა დავუტოვოთ“.**

**2017 წლიდან ასპინძის მერია. მოვალეობის შესრულებას იმ გუნდთან ერთად შეუდგა, რომელიც მერიაში დახვდა. კაბინეტში შესვლის წუთიდან, ასპინძელების კეთილდღეობაზე ზრუნვა დაიწყო. არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. ამბობს, რომ ამ ოთხ წელში წინასაარჩევნოდ გაცემული თითქმის ყველა დაპირების შესრულება შეძლო. ცხადია, იმ გუნდთან ერთად, რომლის რიგებშიც დღემდე რჩება მთავარი მიზეზით: „ქართული ოცნება“ მაქსიმალურადაა ორიენტირებული მოქალაქეების ინტერესებზე, კეთილდღეობაზე, მთავარი ღირებულებაა ადამიანი და მისი თავისუფლება. დღეს ისევ მერობისთვის იბრძვის და აპირებს, მომდევნო 4 წელიც მუდმივად მოუსმინოს მოსახლეობას და მათთან ერთად იბრძოლოს მშობლიური ასპინძის უკეთესი მომავლისთვის.**



დაიბადა 1973 წლის 1 ნოემბერს, დაბა ასპინძაში. 1990 წელს წარჩინებით დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლის დამთავრებიდან დღემდე, მოღვაწეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში.

1995-1996 წლებში მუშაობდა ასპინძის სამომხმარებლო კოოპერატივში საქონელმცოდნის თანამდებობაზე, 1997 წელს აირჩიეს ამავე სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარედ, რომელსაც ხელმძღვანელობდა 2006 წლამდე.

2006-2017 წლებში იყო ასპინძის №39 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2017 წლიდან დღემდე გახლავთ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**– ბატონო როსტომ, თქვენი აზრით „ქართულმა ოცნებამ“ ნდობა ისევ თქვენ რატომ გამოგიცხადათ?**

– მადლობელი ვარ, რომ არჩევანი ისევ ჩემზე შეაჩერეს. ეს დიდი პატივია. მიზეზი ალბათ ის არის, რომ წინა არჩევნებზე გაცემული დაპირებები შევასრულეთ. ძალიან ბევრი პრობლემა და სერიოზული გამოწვევები იყო, თუმცა ჩვენ არ შევუშინდით და ღირსეულად გადავლახეთ. მაგალითად სტატისტიკას მოვიყვან – მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური ბიუჯეტი, კარგი იქნება სოციალური დახმარებისა და პროგრამების საჭიროება არ იყოს, მაგრამ სანამ ეს სფერო ერთ-ერთ გამოწვევად რჩება, ბიუჯეტის ზრდა მნიშვნელოვანია. შედეგად – გაცილებით ფართო მასებზე გავედით, გაცილებით მეტ ადამიანს დავუფინანსეთ სამედიცინო კვლევები, ოპერაციები – პროცენტულად მაღალ თანამონაწილეობას ვიღებთ არასრულწლოვნების, ონკოლოგიური ავადმყოფების, დიალეზზე მყოფი პაციენტების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა, დაქრილთა და გარდაცვლილთა ოჯახების დახმარებისთვის. მოკლედ, ძალიან კარგი პროექტები განვახორციელეთ. მეამაყება ისიც, რომ ორ სოფელს, რუსთავსა და ხერთვისს, რომელიც საერთოდ ვერ სარგებლობდა მაღალმთიანი სოფლის სტატუსით, ჩვენი აქტიურობითა და მონდომებით, სტატუსი მიენიჭა. ეს ამ სოფლების მაცხოვრებლების მთავარი მოთხოვნა იყო.

**– ამ ორი სოფლის მაცხოვრებლებისთვის სტატუსის მინიჭება ასე მნიშვნელოვანი რატომ იყო?**

– იმიტომ, რომ მათაც სურდათ, ესარგებლათ იმ შეღავათებით, რომლებითაც, „მთის კანონის“ მიღების შემდეგ, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების მკვიდრები სარგებლობენ. იქნება ეს 50 ლარით მეტი პენსია, საშემოსავლო შეღავათები, ახალშობილზე ერთჯერადი ფულადი დახმარებები თუ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადის სუბსიდირება. ამიტომაც შევასრულეთ მნიშვნელოვანი როლი, რათა ამ ორ სოფელსაც ჰქონოდა სტატუსი და ამით, მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელი გაგვეთანაბრებინა. სტატუსის მინიჭებამდე კი, ამ სოფლების მკვიდრებისთვის გარკვეული შეღავათები დავაწესეთ – მეორე და მესამე ბავშვზე მანამდე არსებული 200 და 250-ლარიანი დახმარება გავაორმაგეთ. ტყუპების დაბადების შემთხვევაშიც, 300 ლარის ნაცვლად 600 ლარს გავცემდით.

**– სოციალური სფეროს გარდა, მერობის პერიოდში, თქვენთვის პრიორიტეტი რომელი მიმართულება იყო?**

– ჩვენი პრიორიტეტი გასულ წლებში იყო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვახდინეთ რაიონული ცენტრიდან ყველა ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი საავტომობილო გზების მშენებლობა – რეაბილიტაცია, გარდა ამისა, 2024 წლამდე, ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, რომ მოსახლეობას, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გაფილტრული, ხარისხიანი წყალი მივაწოდოთ. 2020 წელს, სოფელ ხიზაბავრაში, 11– კილომეტრიანი მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია მოვახდინეთ, რომელიც პარალელურად მოემსახურება სოფ. ვარგავსა და საროს მოსახლეობას. აღნიშნული პროექტის განხორციელებამ გამოკვეთა შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების საჭიროება რაც უკვე მიმდინარეობს და დასრულდება 2021 წლის ბოლომდე. პარალელურად წესრიგდება მაგისტრალი და შიდაქსელი სოფელ ნაქალაქევსა და სოფელ ტოლოში. მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით, დაბა ასპინძაში, სოფელ ოთაში, ოშორაში და იდუმალაში, სასმელი წყლის პროექტი მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგაც, დაახლოებით 4 ათასამდე მომხმარებელი, 24 საათის განმავლობაში, თანამედროვე ტექნოლოგიებით მიიღებს გაფილტრულ, დაქლორილ, ხარისხიან სასმელ წყალს. ეს ასპინძის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტია, რომლისთვისაც დაახლოებით 8 მილიონი ლარი გამოიყო. ამხელა თანხა სასმელი წყლის უზრუნველყოფისთვის წლების განმავლობაში არ გამოყოფილა.

**– ფაქტობრივად, 2 ოქტომბერს, არჩევნებზე ეს პროექტები „სავიზიტო ბარათად“ გამოგადგებათ.**

– „სავიზიტო ბარათად“ მარტივი სტატისტიკა გამომადგება – 2017 წელს 3 მილიონ 750 ათასლარიანი ბიუჯეტი ჩავიბარე და შარშან დავხურე 12 მილიონი ლარით. სხვა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტიც განვახორციელეთ. უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ 2011 წელს, ხანძრის შედეგად, სოფელ ორგორაში დამწვარი სკოლის შენობის ადგილას აშენდა 60 ბავშვზე გათვლილი, სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტების ევროპული ტიპის სკოლა, საჭირო ტექნიკური აღჭურვილობითა და ინფრასტრუქტურით, გათბობის სისტემით, სპორტული მოედნით. სკოლამდელ აღზრდას მიექცა დიდი ყურადღება, კომპაქტურად დასახლებული სოფლისთვის 2 ახალ საბავშვო ბაღს ვაშენებთ. დაბა ასპინძაში მიმდინარეობს დასვენებისა და გართობის სკვერის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც დაახლებით 2 მილიონი ლარია გამოყოფილი. აქ ტურისტებისთვის საინფორმაციო ცენტრი განთავსდება, მინისტადიონი მოეწყობა, შადრევნები. ძალიან მნიშვნელოვანია პრემიერის მიერ ინიცირებული ურბანული განვითარების პროგრამა, რომელიც ქვეყნის 63-ვე მუნიციპალიტეტს გამოაცოცხლებს. ტურიზმის ხელშეწყობა ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შორეთი, ვარძია, ხერთვისი, სარო, ვანის ქვაბები, ხიზაბავრა ვიზიტორებისთვის მიმზიდველია. ძველსა და ჭობარეთში უნიკალური აღმოჩენები გვაქვს – აქ 5 ათასი წლის წინანდელი ცხოვრების არტეფაქტებია ნაპოვნი, რომლებიც იმაზე მეტყველებს, რომ იმ დროს, აქ კარგად იყო განვითარებული მოსახლეობა. დღესაც მუშაობენ აქ ქართველი თუ მოწვეული უცხოელი სპეციალისტები. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სიახლეა. ასპინძის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ისტორიულ ძეგლთან და ტურისტულ ადგილთან მისასვლელი გზა და ინფრასტრუქტურა მოწყობილია. ბოლო



პერიოდში, საქართველოში ტურიზმი მნიშვნელოვნად იზრდება და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა მატულობს. ისტორიულად, ასპინძას საუკეთესო რესურსები გააჩნდა ტურიზმის განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია ყველა პირობა შევქმნათ, რომ საოჯახო ტიპის სასტუმროებმა, ტურისტებს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნან. ასეთ შემთხვევაში, ტურისტები რამდენიმე დღე დარჩებიან მუნიციპალიტეტში. მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქციაზეც გაიზრდება. აქ მცირე მეწარმეობის განვითარების დიდი პოტენციალია და ის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

აშკარად პროგრესია მშენებლობების მხრივ, გაიზარდა მოთხოვნილება ახალი როგორც კომერციული სავაჭრო ობიექტების, ისე საოჯახო სასტუმროების, საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე ნაგებობების რაზედაც მეტყველებს გაზრდილი მშენებლობის ნებართვების მოთხოვნა.

მოკლედ, სამომავლოდაც ბევრი გეგმა გვაქვს და პანდემიის მიუხედავად, აქტიურად და ეფექტურად ვმუშაობთ.

**– პანდემიის მართვაც ეფექტურად მოახერხეთ?**

– დიახ, ამ მიმართულებითაც ეფექტურად ვიმუშავეთ. პანდემიის მართვა, ზოგადად ქვეყანაში მოხდა ეფექტურად. გამოცდილების არქონის ფონზე, ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის, დასაფასებელია სოციალური დახმარებები, შეღავათები, უფასო ტესტირება, კვლევები, მკურნალობა... პანდემიის დროს არაერთი სოციალური პროექტი განვახორციელეთ. მაგალითად, როცა საბავშვო ბაღები იყო დაკეტილი, თვეში ერთხელ, ბავშვის ულუფას კიდევ ერთი ულუფა ემატებოდა და სახლებში ვურიგებდით. ასეთივე აქტივობები გვქონდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ომის მებრძოლებისა და ომში გარდაცვლილთა ოჯახებისთვის, პენსიონერებისთვის, უფასო სასადილოების ბენეფიციარებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს ავაშენეთ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შეკვეთილი, გადაუდებელი დახმარებისა და კოორდინაციის ცენტრის კაპიტალური შენობა თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ასევე აშენდა და რეაბილიტირდა სოფლებში 9 ამბულატორიის შენობა რომლების პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობისათვის ჯანდაცვის სერვისის მიწოდებაში, აღნიშნულ ამბულატორიებში დაწყებულია და კვლავ გაგრძელდება მოსახლეობის ვაქცინაცია კვალიფიციური ჯგუფების მეშვეობით.

**– ამდენი განხორციელებული და მიმდინარე პროექტის ფონზე, რა საჭიროებები აქვთ და ამჯერად რას ჰპირდებით ასპინძელებს?**

– 2011 წლიდან 23 ადმინისტრაციულ ერთეულში მხოლოდ 3 სოფელში იყო ბუნებრივი აირი. გასულ წელს 6 სოფელში განხორციელდა მაგისტრალისა და შიდა ქსელების მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წლის დასრულებამდე უზრუნველყოფს მოსახლეობას ბუნებრივი აირის მიწოდებით. წელს ვგეგმავთ, დავიწყოთ მინიმუმ 4 სოფლის გაზიფიცირება. ჩემი მთავარი დაპირებაა, ეს ტენდენცია გაგრძელდეს. ეს ჩვენს გარემოზე, ხე-ტყეზეც დადებითად იმოქმედებს. მინიმუმ 3 წელიწადში, მუნიციპალიტეტის გაზიფიცირება სრულად უნდა მოხდეს. ეს ადგილობრივების ერთ-ერთი მოთხოვნაცაა. კარგად ვიცი მათი საჭიროებები. ვფიქრობ, ამ 4 წელიწადში, უკან არაფერზე დამიხევია და როგორც შემეძლო მოსახლეობას გვერდით ვედექი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან გვქონდა აქტიური შეხვედრები, ხშირად ტარდებოდა სოფლის კრებები, რომელთა ყველა ოქმი მერიაშიც ინახება. თითოეულ ადგილობრივთან მუდმივი კონტაქტი მქონდა და ამიტომ ვფიქრობ, არჩევნებზე მათი მხარდაჭერა მექნება.

**– ეთნიკურ სომხებთანაც ხშირი კონტაქტი გქონდათ და მათი მხარდაჭერაც გექნებათ?**

– ჩვენ გვაქვს ეთნიკური სომხებით დასახლებული სოფელი დამალა, სადაც დაახლოებით 1500-მდე მოსახლეა. წინა პერიოდში გული სწყდებოდათ, რომ ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდა. ჩვენ მიდგომა შევცვალეთ – ბოლო 4 წელში, არ გასულა წელი, რაიმე მნიშვნელოვანი პროექტი არ განგვეხორციელებინა.

ეს იყო შიდაგზებისა თუ წყლის სისტემის მოწესრიგება. წელს დავასრულეთ ძველი კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია. ადგილობრივებისთვის ეს მნიშვნელოვანი პროექტია. ვფიქრობ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც მხარს დაგვიჭერენ.

**– 2005 წელს სერტიფიცირებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე გახდით. მომდევნო წელს კი, ასპინძის მუდმივმოქმედი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ აგირჩიეს. ამ სფეროში 11 წელი იყავით, რვა არჩევნები გამოიარეთ. საინტერესოა, როგორ შეაფასებთ 2020 წლის არჩევნებს და როგორ არჩევნებს ელოდებით 2 ოქტომბერს?**

– დიახ, ამ სფეროს კარგად ვიცნობ. ამდენწლიანი მუშაობის ერთ-ერთი გარანტი ალბათ ის იყო, რომ ზედმიწევნით კანონმორჩილი ვარ. ვფიქრობ, სარჩევნო კომისიის წარმატებული თავმჯდომარე ვიყავი. ჩემი ხელმძღვანელობით არასდროს ჩატარებულა ისეთი არჩევნები, ბევრ კითხვას რომ აჩენს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ თვითონ ცესკო-ს დამოუკიდებლად და კანონიერად მუშაობა გვიწყობდა ხელს, დაგვეცვა კანონი და მაქსიმალურად მაღალი ლეგიტიმაციის არჩევნები ჩაგვეტარებინა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ბოლო წლების განმავლობაში, არაერთი საერთაშორისო ჯილდოც მიიღო. დღეს ქვეყანაში თავისუფალი და დემოკრატიული საარჩევნო გარემოა. 2020 წლის არჩევნების შეფასებისას ასპინძის მაგალითით ვისაუბრებ: ანტონ ობოლაშვილმა ასპინძის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიიღო დაახლოებით 62%-ზე მეტი ხმა. ეს მეტყველებს, რომ ბრძოლა არცთუ იოლი იყო და კონკურენტები არჩევნების გზით დავამარცხეთ. თუ ვინმეს აქვს აზრი, რომ არჩევნები გაყალბდა, ან იყო ძალადობა, მოსყიდვა... დადოს ფაქტები. დღეს, ამდენი ოპოზიციური კომისიის წევრის, სადამკვირვებლო ორგანიზაციის, მედიასაშუალების, აგიტატორის, უბნის დამკვირვებლის პირობებში გაყალბება, ფაქტობრივად შეუძლებელია. ხელმოწერილი ოქმები, რომლებიც არჩევნების შედეგებს აღნიშნავს და რომლებსაც ხელს აწერს ყველა პარტიიდან დანიშნული კომისიის წევრი, ნიშნავს, რომ ამ ყველაფერზე ეს ხალხი შეთანხმდა. ასე რომ, ჩემი შეფასება ასეთია – არჩევნები არ გაყალბებულა და არც მომავალში გაყალბდება. თუმცა ეს არჩევნები მარტივი არ იქნება. როგორც ყოველთვის, იქნება სირთულეებიც. არჩევნებს აზარტიც აქვს, რადგან ესაა ბრძოლა გამარჯვებისთვის. დარწმუნებული ვარ, 2 ოქტომბერს გაიმარჯვებს ის გუნდი და კანდიდატი, ვინც ხალხს დაარწმუნებს, რომ ღირსია, მომდევნო 4 წელი იყოს ხელისუფლებაში. დღეს ზუსტად ვიცი, რა ძალა აქვს ხალხის მხარდაჭერას ყოველი წამოწყების, ახალი პროექტების განხორციელების დროს. რამხელა სტიმულია, როცა გულწრფელად გიზიარებენ დარდსაც და სიხარულსაც, გენდობიან და სჯერათ შენი. იმიტომ გადავწყვიტე არჩევნებში მონაწილეობა, რომ დაწყებულის დასრულება და ახლის გაკეთება შევძლო. დარწმუნებული ვარ, ამის საშუალება მომეცემა.

მინდა, ასპინძა 4 წლის მერე უფრო განახლებული და მიმზიდველი იყოს. მინდა ასპინძელების კმაყოფილ და მომღიმარ სახეებს ვხედავდე.



# როსტომ მაგრაქველიძის დიდი ოჯახი და „მოსახლეობის წინაშე აღებული დიდი პასუხისმგებლობა“

ასპინძაში, ავთანდილ მაგრაქველიძისა და მზევინარ კაპანაძის ოჯახში დაიბადა. სამ ძმას შორის შუათანაა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისევ მშობლიურ მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა და აღარსად წასულა, რადგან ასპინძა მისი სახლია!

მომავალი მეუღლე, მაკა ბერიძეც აქ გაიცნო, 2000 წელს ოჯახი შექმნეს. წყვილს 2 შვილი ჰყავს – 17 წლის მარიამი და 14 წლის ჯარჯი.

მარიამს ექიმობა სურს. ძალიან მიზანდასახული, შრომისმოყვარე და ჭკვიანი ახალგაზრდაა. გასულ წელს მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის – „ფლექსის“ გრანტი მოიგო და წელს, 1 წლით, სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. კანდიდატი მარიამის წარმატებით ამაყობს, რადგან იცის, რომ ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებულ ამ პროექტში, რომელიც უკვე 28 წელია საქართველოში ხორციელდება, თუ ლიდერი არ ხარ, ვერ გაიმარჯვებ. თუნდაც იყო მოქმედი მერის შვილი, რადგან ეს, ნაშრომების გასწორების დროს, ამერიკულ მხარეს საერთოდ არ აინტერესებს. მარიამი ძალიან დამოუკიდებელია. მამა დარწმუნებულია, საზღვარგარეთ ცოდნას გაიღრმავებს და შემდეგ სამშობლოს მოახმარს.

ჯარჯი თავისუფლების მოყვარე ადამიანია. მისი თაობის ახალგაზრდების მსგავსად, თანამედროვე ტექნოლოგიები იზიდავს. აქვს ერთი გატაცებაც – პლასტილინით მინიმალისტურ ფიგურებს აკეთებს – საოცარ, ერთი ციდა ნაკეთობებში, უწვრილესი დეტალებიც კი გათვალისწინებულია.

მშობლებსა და შვილებს შორის ზომიერი დისტანციაც კი იგრძნობა. ჯარჯი ხშირად დაჰყავს მეგობრებთან. სამეგობრო ძალიან დიდი ჰყავს, სადაც არა მარტო მისი, ძმების მეგობრებიც შედის. სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებისგან ჯარჯი ტრადიციებს, ურთიერთობებს... სწავლობს. ზოგჯერ სხვადასხვა შეხვედრაზეც მიჰყავს, მიზანი ერთია – ჯარჯიმ უნდა იცოდეს ადამიანები როგორ ცხოვრობენ, თანამდებობის პირები კი, როგორ საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებენ.

ბავშვები ადრე საკმაოდ წარმატებით ცეკვავდნენ, მაგრამ მოგვიანებით, არჩევანი სწავლის სასარგებლოდ გააკეთეს. თავად კანდიდატი სპორტის დიდი გულშემატკივარია. მართალია, ძმის, ჭიდაობაში საქართველოს ორგზის ჩემპიონის – ბესო მაგრაქველიძის მსგავსად დიდი მიღწევები არ ჰქონია, მაგრამ სპორტულ აქტივობებში ჩართული იყო.

დღეს აღარც სპორტისთვის რჩება დრო და ოჯახის წევრებისთვისაც იშვიათად იცლის, რადგან მუნიციპალიტეტის მერობა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

როცა მოსახლეობამ ნდობა გამოუცხადა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა – პროფესიით ჟურნალისტი მეუღლე, მაშინ ასპინძის გამგეობაში, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობდა. კანონის შესაბამისად პირველივე ბრძანებით, მეუღლე სამსახურიდან დაითხოვა. „ჩემს კაბინეტში დავაწერინე განცხადება. ის საშინელი შეგრძნება ახლაც მახსოვს. მაკამ 17 წელი იმუშავა იმ სამსახურში და ჩემს გამო წამოსვლა მოუწია. მასთან ერთად საკრებულოში, კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა ჩემმა ძმამაც. სიმართლე გითხრათ, დღემდე ძალიან რთულად ვიხსნებ იმ პერიოდს“, – ამბობს კანდიდატი.

მაკა დაახლოებით ნახევარი წელი იყო უმუშევარი. შემდეგ, საკრებულოში კონკურსი გაიარა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში დაიწყო პროფესიული საქმიანობა. ჟურნალისტი მეუღლე, კანდიდატის საუკეთესო მრჩეველია.

წყვილი დიდი ოჯახის წარმომადგენელია არიან. კანდიდატი ხუმრობს კიდეც, ჩემი და ჩემი მეუღლის მშობლები, დედმამიშვილები, მათი მეუღლეები და შვილები ერთად რომ შევიკრიბოთ, პანდემიის დროს დაწესებული რეგულაციების დარღვევა მოგვიწევსო. არადა, დიდი ოჯახის მთავარი ტრადიცია სწორედ ესაა – ერთად ყოფნა. ოჯახის წევრები კანდიდატის მოუცლელობას გაგებით ხვდებიან. იციან, რომ მას ბევრი საქმე აქვს – მოსახლეობის კეთილდღეობაზე უნდა იზრუნოს, მათი ინტერესები დაიცვას და მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის, არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთოს.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**


სოფელ აწყვიტის ამბულატორია

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო.

2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის **პროგრამით, ასპინძის მუნიციპალიტეტზე** გამოიყო 12 870 472 ლარი, დაფინანსდა 29 776 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (657 325,2 ლარი, 48 834 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (1 838 265 ლარი, 20 180 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (7 611 028 ლარი, 5 488 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (1 812 382 ლარი, 1 666 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (677 324 ლარი, 1 197 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (466 344 ლარი, 965 შემთხვევა). 8000 ლარის ოდენობით გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიო/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, ამ პროგრამით, ასპინძაში დაფინანსდა 962 ბენეფიციარი (დაიხარჯა 43 916 ლარი).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. 2020 წელს, **ასპინძაში,** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 94%-დან 100%-მდე გაიზარდა. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ასპინძაში,** სტაციონარული მკურნალობით 32-მა (81 427 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით 546-მა პაციენტმა (43 822 ლარი) ისარგებლა.

**დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 1959-მა (110 146 ლარი), საჭირო მედიკამენტები კი 580-მა ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ასპინძის მუნიციპალიტეტიდან პროგრამაში** ჩართული იყო 78 პირი (15 493 ლარი).

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით **გაიზარდა სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ასპინძის მუნიციპალიტეტს 23 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

### ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა ამბულატორიების მშენებლობა/რეაბილიტაცია, მოწყობის პროექტები:** სოფლებში – ხიზაბარა (8 446 ლ), აწყვიტა (აშენდა ახალი 1-სართ. ადაპტირებული ამბულატორია, კეთილმოეწყო ეზო – 77 000 ლარი), ოთა (აშენდა ახალი 1-სართ. ადაპტირებული ამბულატორია, კეთილმოეწყო ეზო – 74 487 ლარი), ვარძია (აშენდა ახალი 1-სართ. ადაპტირებული ამბულატორია, კეთილმოეწყო ეზო – 84 992 ლარი), ნიჯგორი (აშენდა ახალი 1-სართ. ადაპტირებული ამბულატორია, კეთილმოეწყო ეზო – 77 170 ლარი), თმოგვი (19 570 ლარი), ნაქალაქევი (21 333 ლარი), სოფელი რუსთავი (23 966 ლარი), ქობარეთი (35 632 ლარი), ოშორი (30 284 ლარი). 2015-2016 წლებში, დაბა ასპინძაში, აშენდა საავადმყოფო 5 საწოლზე (ევექსი),შალვა ახალციხელის ქუჩა. 2019 წელს – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ასპინძის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა, დაბა ასპინძა, შალვა ახალციხელის ქუჩა (აშენდა ახალი 175 კვმ ფართის შენობა სიმაღლით 5,70 მ.) – 234 737 ლარი. **დაგეგმილია** ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფელ საყუდაბერში – 35 000 ლარი და სოფელ ძველში – 16 497 ლარი, სოფელ ივერიაში აშენდება ახალი, 1– სართულიანი, სტანდარტების შესაბამისი ადაბტირებული ამბულატორია – 100 000 ლარი. **2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება 48,0 ათასიდან 165,5 ათას ლარამდე გაიზარდა.**

### ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.



41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ასპინძის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით) 2026 პირი. 2012 წლის შემდეგ 2.1-ჯერ, 2 632 932 ლარიდან 5 520 830 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 35 576 025 ლარი დაიხარჯა.

2013 წლიდან დაზუსტდა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სახელმწიფო პენსიის ოდენობა, პირის სამხედრო/სპეციალური წოდება, შესაბამის ორგანოებში მუშაობის სტაჟი. **ასპინძის მუნიციპალიტეტში,** 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1 528 958 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ასპინძის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი 519 ოჯახია, 2012 წლის შემდეგ თითქმის 3.2-ჯერ – 363 ათასიდან 1 109 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 6 435 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 1 293 ათასი ლარი, შშმ პირებზე – 536 ათასი ლარი, ბავშვებზე – 2761 ათასი ლარი (2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით). შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ასპინძაში სოციალური პაკეტით მოსარგებლეა** 508 მიზნობრივი ჯგუფი. (2021 წლის აპრილის მდგომარეობით), 2012 წლის შემდეგ თითქმის 6-ჯერ, 139 806 ლარიდან 834 138 ლარამდე გაიზარდა გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 5 373 197 ლარი.

**ასპინძის** მუნიციპალიტეტში 4 **დევნილია** (2021 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით). 2012 წლის შემდეგ 952-დან 2160 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი და, 2013-2021 წლებში, სულ 8 423 ლარი დაიხარჯა.

**დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი), **ასპინძაში** დაფინანსებულია 176 ბენეფიციარი (2021 წლის 1 აპრილის მდგ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 340 300 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 288 750 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ.

**ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ასპინძის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილმა დაფინანსებამ შეადგინა – 729 460 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). 2020 წელს, **ასპინძაში,** პროგრამაში ჩართული იყო 318 ოჯახი, 2021 წელს – 344. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, **ასაპინძაში,** 2020 წელს ისარგებლა 102-მა ოჯახმა, 2021 წ. – 1211 ოჯახმა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** დამატებით გამოყოფილია 100 ლარი, **ასპინძაში –** 2020 წ. პროგრამაში ჩაერთო 121 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 120 პირი.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად.** სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სოციალური დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 69,9 ათასიდამ 105.0 ათას ლარამდე გაიზარდა.**

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა,** მათ შორის, ერთჯერადი კვების უფასო სასადილოს დაფინანსება, ქირურგიული ოპერაციების დაფინანსება და მკურნალობა, ახალშობილ ბავშვიან ოჯახებზე ფულადი დახმარება, იძულებით გადაადგილებული ოჯახების დახმარება, დედმამით ობოლი არასრულწლოვანთათვის დახმარება, შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანთათვის, მინდობით აღზრდაში მყოფი და რეინტეგრაციაში მყოფი არასრულწლოვნების დახმარება და სხვ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხა სხვა სოციალური ხარჯებისთვის - სხვა გამონაკლისი შემთხვევებისათვის,(ონკოლოგიური ავადმყოფები, 18 წლამდე არასრულწლოვნების სამედიცინო მომსახურეობა, შშმ პირების მკურნალობა და გამოკვლევები, ცჰეპატიტით დაავადებულები.)

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.



# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი **აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება** (4 მუ-



41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო



ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა.

ნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 – დაბა ასპინძაში, ხოლო 2 – სოფლად), სადაც 2021 წლისთვის ირიცხება **420 აღსაზრდელი** (2013 წელს – 280), დასაქმებულია 33 აღმზრდელი, 16 აღმზრდელის თანაშემწე და 3 ექთანი. **2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** თითოეულ აღსაზრდელზე **კვების თანხა** 0.9-დან 2,70 ლარამდე გაიზარდა, ამით მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 5 სააღმზრდელო ჯგუფში, სადაც 100 ბავშვი ირიცხება.

**ასპინძაში გაიზარდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება:** 2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივები 168 ათასიდან 540 ათას ლარამდე გაიზარდა.

**2015-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, რეაბილიტაცია** ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სოფ. ტოლოშის, სოფ. რუსთავის (შიდა კოსმეტიკური რემონტი), დაბა ასპინძის №1 და №2 საბავშვო ბაღებს (სრული კაპიტალური რემონტი), რაზეც სულ 1 მლნ 160 ათასი ლარი დაიხარჯა; 2016-2017 წლებში, ჩატარდა დაბა ასპინძის №1 და №2 საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა და აღჭურვა (135,33 ათასი ლ). მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სოფლებიდან (ოთა, ოშორა, იდუმალა, დამალა, ივერია, გულსუნდა, ხერთვისი, აწყვიტა და ნიჯგორი, ფია, ნაქალაქევი, თმოგვი) ახლომდებარე საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების უფასო ტრანსპორტირებას. 2019 წელს **სრული რეაბილიტაცია** ჩაუტარდა სოფელ ტოლოშის ბაგა-ბაღს **(289, 8 ათასი ლ).** ასევე რეაბილიტირდა სოფ.რუსთავის ბაგა-ბაღი (145 ათასი ლ);

### ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 საჯარო სკოლა (ყველა სკოლა მდებარეობს სოფლად, გარდა დაბა ასპინძის საჯარო სკოლისა), სადაც 1502 მოსწავლე და 352 მასწავლებელია. დასაქმებულია 15 სპეციალური მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, დღეისათვის, იდენტიფიცირებულია 41 სსმ მოსწავლე. 2019 წლიდან ასპინძის სკოლას ჰყავს 3 მანდატური;**

**ასპინძაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, სამინისტრომ განხორციელა არაერთი პროგრამა, მათ შორის, წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის** ფარგლებში, 2019-2020 წლებში, მუნიციპალიტეტიდან გამოვლინდა **6 ოქროს და 4 ვერცხლის მედალოსანი;** 2017-2019 წლებში, **სახაფხულო სკოლების პროგრამით,** მონაწილეობა მიიღო 206-მა მოსწავლემ; **საგანმანათლებლო ექსკურსიებისა და განათლების ხელშეწყობის** ქვეპროგრამით, 2013-2018 წლებში, მონაწილეობა მიიღო 85-მა მოსწავლემ; საჯარო სკოლის **ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით ისარგებლა მუნიციპალიტეტის 11 საჯარო სკოლის 170-მა მოსწავლემ (14 მიმართულება), **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 4 სკოლაში; პროგრამით „ანწავლე საქართველოსთვის" კონსულტანტ-მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები; 2017-2019 წლებში, **მოსწავლეთა უზრუნველყოფის** პროგრამის ფარგლებში, 42 827 უფასო **სახელმძღვანელო და რვეული,** 902 **სასკოლო ჟურნალი** დარიგდა; 29 წარჩინებულ მოსწავლესა და 53 დამრიგებელს **პერსონალური კომპიუტერები** გადაეცათ, **„ჩემი პირველი კომპიუტერის"** პროგრამით, კომპიუტერები 572-მა პირველკლასელმა მიიღო; **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** უზრუნველყოფილია 18 სკოლა; **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფილია 2 საჯარო სკოლა; **სამინისტროს მიერ დაგეგმილი ყველა პროექტი და ტრენინგკურსი ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისა და მოსწავლისათვის.**

**სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის** ფარგლებში, 2013-2020 წლებში, განხორციელდა საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების 25 პროექტი, დახარჯულია 1 მლნ 187 ათასი ლარი, დასრულდა 1 სკოლის მშენებლობა სახელშეკრულებო ღირებულებით – 1 მლნ 250 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 14 ადაპტირებული საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილია 9 საჯარო სკოლა.

**მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:** ასპინძის მუნიციპალიტეტი სოფელ ორგორაში, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, 60 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა – 1,2 მლნ ლარი; სოფელ ოთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 1,6 მლნ ლარი; დაბა ასპინძის №1 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია – 3,1 მლნ ლარი. 2021 წელს სკოლების სახელმწიფო პროგრამიდან განხორციელდება სოფელ ძველის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია 62 ათასი ლარი.

### უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური პროგრამის ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტიდან, 2013-2016 წ.წ. დაფინანსება მოიპოვა 43-მა, 2017 წელს 10-მა სტუდენტმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს. 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს მთლიანად (ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი და ნინოწმინდა)** და, 2018-2019 ს/წელს, სამცხე ჯავახეთის რეგიონიდან დაფინანსდა 79 ; 2019-2020 ს/წელს – 79 და 2020-2021 ს/წელს – 79 სტუდენტი.

## „ქართული ოცნების" უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- რეფორმის მომდევნო, მრავალმხრივი ეტაპი – სისტემური ცვლილებები ყველასთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომობის ზრდას ხარისხიან ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე;
- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია/კეთილმოწყობის სამუშაოები, მათ შორის სოფ. ძველში დაგეგმილია სტანდარტების შესაბამისი 60 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა. გამოცხადებულია ტენდერი. საბავშვო ბაღით ისარგებლებს 4 სოფელი (ძველი. ჭობარეთი, ორგორა და საყუდაბელი) – პროექტის ღირებულება – 718, 7 ათასი ლარი; ასევე დაგეგმილია სოფელ თმოგვში სტანდარტების შესაბამისი 60 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა. საბავშვო ბაღით ისარგებლებს 4 სოფელი (თმოგვი, ნაქალაქევი, მირაშხანი, ფია) – 718, 6 ათასი ლარი; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ასპინძაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- ეტაპობრივად მიმდინარეობს და მომავალშიც უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას, ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს, შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად,
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: სოფ. ტოლოშის, დამალის, ნაქალაქევის, ძველის, ჭობარეთის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია (ჯამურად 478, 3 ათასი ლარი); სტანდარტების შესაბამისი რეაბილიტაცია სოფელ ოთის ( 1, 7 მლნ ლარი); და დაბა ასპინძის საჯარო სკოლებში (3, 9 მლნ ლარი);
- დაგეგმილია ასპინძის მუსიკალური სკოლის ინფრასტრუქტურის მოწყობა – 140 ათასი ლარი;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- 2024 ასპინძაში დაგეგმილია ახალ ლოკაციაზე კოლეჯის მშენებლობა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**ასპინძის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი კულტურის დაწესებულებები:** ა(ა)იპ ასპინძის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, ხიზაბავრის ბიბლიოთეკა, ოშორის ბიბლიოთეკა; ტოლოშის ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ – ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებეთა გაერთიანება, რომელშიც მუზეუმი სამუზეუმო სფეროს სახით არის წარმოდგენილი, ა(ა)იპ ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა. სსიპ ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი.

**2020 წლისთვის, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები 146 ათასიდან 357 ათას ლარამდე გაიზარდა.**

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა **საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდება ბიბლიოთეკარის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები, ეწყობა გამოფენები, მკითხველთა კონფერენციები, წიგნების პრეზენტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები, ექსკურსიები და სხვა კულტურული ღონისძიებები. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონკურსში („მომავლის ვარსკვლავები“, „ერთი ცის ქვეშ“, „გზა პარნასისკენ“, თენგიზ ამირეჯიბის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოსთა კონკურსი), სადაც მოიპოვეს სხვადასხვა საპრიზო ადგილი.

2020 წელს მუნიციპალიტეტში არსებულ ბიბლიოთეკებში, პანდემიური სიტუაციის გამო, ყველა დაგეგმილი ღონისძიება გაუქმდა. 2021 წელს ასპინძის სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს კლასში 100 მოსწავლე ირიცხება, გიტარაზე დაკვრის ხელოვნებას კი 20 მოსწავლე ეუფლება. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა ღონისძიებასა და, რეგიონული თუ რესპუბლიკის მასშტაბით, გამართულ კონკურსებსა და კონცერტებში მონაწილეობენ. ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრში იმართება სხვადასხვა დღესასწაულისა და მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

**ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** 2020 წლის 14 აგვისტოს **დადგენილებით**, შემოღებულ იქნა საპატიო წოდების მინიჭების წესი. წოდება „საპატიო ასპინძელი“ ენიჭება საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ასპინძის მუნიციპალიტეტში უცხოვრია არანაკლებ 5 წელი და ასპინძის (საქართველოს წინაშე) აქვს განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება. აღნიშნული წესის თანახმად, **2020-2021 წლებში „საპატიო ასპინძელის“ წოდება 6 პიროვნებას** მიენიჭა.

**2013-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის შემდეგი პროექტები: ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის** ფასადის ზედა ნაწილის ცვენასაშიში ქვებისგან გაწმენდა, კლდეების გაწმენდა-გასუფთავება; ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების მოხატულობის საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასება, კვლევითი და მეთოდოლოგიური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, კედლის მოხატულობის პირველადი გადაუდებელი გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, ქვის კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია, მოაჯირებისა და განათების მოწყობა; სამონასტრო კომპლექსის გადარჩენის გეგმის პირველი ეტაპის შესყიდვა, საკვლევ-საექსპედიციო ბაზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; ვარძიის



სამონასტრო კომპლექსის სამრეკლოს ქვედა უბანზე გამოვლენილი გამოქვაბულების გაწმენდითი სამუშაოები და კომპლექსის ტერიტორიაში შემავალი **სოფელ ჭაჭკარის** აზომვითი სამუშაოები; ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ახლად გამოვლენილი გამოქვაბულის 3D ლაზერული აზომვითი მომსახურებების შესყიდვა გახორციელდა ხერთვისის ციხის კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა , რაზეც **1,55 მლნ ლარი, დაიხარჯა,** მიმდინარეობს ვანის ქვაბებისა და ვარძიის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტები – **1,48 მლნ ლარი.** ასევე განხორციელდა: დაბა ასპინძის სამუსიკო სკოლის, ბიბლიოთეკისა და კულტურის სახლის რეაბილიტაცია (**სულ 1 მლნ 100 ათას ლარზე** მეტი), ასპინძის წმ. გიორგის სახელობის ხვილიშისა და ტაბიძის ქუჩაზე მდებარე წმ. გიორგის ეკლესიებისა (150 ათასი ლარი) და სოფელ აწყვიტის (ქუნცის) ეკლესიის მიმდებარე ტერიტორების კეთილმოწყობა (300 ათასი ლარი); სოფ. ოთაში დასრულდა სამონასტრო კომპლექს „შორეთის“ რეაბილიტაციის დასკვნითი, მესამე ეტაპი (300 ათასი ლარი); დაბა ასპინძის ცენტრში, დაიდგა ასპინძის ბრძოლის ამსახველი მონუმენტური ძეგლი (310 ათასი ლარი); დაბა ასპინძის ბიბლიოთეკის შენობაში მოეწყო გათბობის სიტემა, შეკეთდა ფანჯრები, გარე კარები და ბაქანი (51, 3 ათასი ლარი); ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად 2017 წელს გამოიყო – 111,6 ათასი ლარი, 2018 წელს – 200 ათასი ლარი.

**2019-2021 წლებში განხორციელდა** სოფელ დამალის კულტურის სახლის სახურავის შეცვლა (39,780,92 ლარი) და სრული რეაბილიტაცია (224 777 ლარი); – სოფელ ხერთვისის სასოფლო კლუბის სახურავის შეცვლა (23 988,81 ლარი). 2019 წელს სახალხო დღესაწაულებისა და ფართომასშტაბიანი ღონისძიებების სრულყოფილი ორგანიზების მიზნით, შეძენილია ლითონის(ალაუმინის) კონსტრუქციის 120 მ2 ასაწყობი სცენა (44 840 ლარი).

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით,** მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის კონსერვაციის გეგმის სტრატეგიისა და ქვათაცვენის შეჩერების გადაუდებელი ქმედებების შემუშავება“. განხორციელდა, აგრეთვე, პროექტი **„ასპინძის მუნიციპალიტეტში ხერთვისი-ვარძია-ოლოდას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პირველადი ინვენტარიზაცია“.**

**წელს შემუშავდა ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე, პლატოდან წყლის გადაყვანის პროექტი;**

საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის მულტიდისციპლინარული კვლევა-მონიტორინგი და საკონსულტაციო მომსახურება;

ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის სამუშაოები; ვანის ქვაბების კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის კომპლექსური კვლევა – მონიტორინგი;

ჩატარდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ქობარეთში მდებარე ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის არქეოლოგია;

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაციის ფარგლებში, ჩატარდა ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი ბაზის სარემონტო სამუშაოები (71,1 ათასი ლარი);

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის (თმოგვის მიდამოები) რეაბილიტაციის ფარგლებში, ჩატარდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული მოწყობის სამუშაო (ჯამურად 34 395 ლარი);

2021 წელს კომპლექსის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ფარგლებში, დასრულდა ავტოფარეხის მშენებლობის სამუშაოები (98 999 ლარი);

2021 წელს – გაგრძელდა არქეოლოგიური კვლევები ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ქობარეთში მდებარე ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე.

**2017-2021 წლებში, ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალს 548 298 დამთვალიერებელი სტუმრობდა.**

## სპორტი

2018 წლიდან ასპინძის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ა(ა)იპ – ასპინძის სასპორტო გაერთიანება.

**2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, გაიზარდა ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება (73,2 ათასიდან 204 ათას ლარამდე).** 2021 წელში ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის მიმართულებით დაფინანსდა ა(ა)იპ – აპინძის სასპორტო გაერთიანება – 135 ათასი ლარი, ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი „ტაო“ – 60 ათასი ლარი, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური – 9,0 ათასი ლარით, სულ სპორტის ხარჯებმა 204 ათასი ლარი შეადგინა.

**მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია** ფეხბურთი, მძლეოსნობა, ძიუდო, მშვილდოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა და რაგბი.

2021 წელს ასპინძის სასპორტო გაერთიანების სხვადასხვა სექციაში ირიცხება 195 მოზარდი და 13 მწვრთნელი; მოზარდი სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ რეგიონულ და რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში და საკუთარი მაგალითით ხელს უწყობენ ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და პოულარიზაციას. 2018 – 2021 წლებში განხორციელდა მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

**2014-2021 წლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** სოფ. მირაშხანის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (23 471 ლარი); სოფ. ძველის სტადიონის რეაბილიტაცია (35 700 ლარი); დაბა ასპინძაში სპორტული მოედნისა (104 000 ლარი) და საჭიდაო დარბაზის (71,8 ათასი ლარი) რეაბილიტაცია. 2016 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით ასპინძის დასვენებისა და გართობის პარკში მოეწყო გარესავარჯიშო მოედნები (14 ათასი ლარი). 2019 წელს მოეწყო დაბა ასპინძაში „სამკუთხა სკვერში“ გარეგამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები (18 758,47) ათასი ლარი); 2020 წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, განხორციელდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხნის სპორტული მოედნის სრული რეაბილიტაცია (23 485 ლარი), სოფელ ნაქალაქევში მინისტადიონის შემოღობვა და ინ-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ვენტარის შეძენა/რეაბილიტაცია (31 546 ლარი). გარეგამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები მოეწყო დაბა ასპინძაში, ხერთვისსა და ივერიაში (ჯამურად 56,7 ათასი ლარი).

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ახალგაზრდული ორგანიზაციების ხარჯები 45 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 10 ათასი ლარი იყო.**

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა – ახალქალაქი-ასპინძა-ვარძია (55 მონაწილე); შემეცნებითი სემინარები „უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი“ (50 მონაწილე); შშმ მოზარდებისა და ახალგაზრდების საზაფხულო საინტეგრაციო ბანაკი და სპორტულ-შემოქმედებითი ფესტივალი (მონაწილეობა მიიღო 137-მა მოსარგებლემ სხვადასხვა რეგიონიდან).

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა სხვადასხვა სახის პროექტი („აღმოაჩინე შენში ტალანტი და გაახალისე ცხოვრება“, „მშვილდოსნობის სპორტული საზაფხულო ბანაკი“) განახორციელეს, რომელთა მიზანი მუნიციპალიტეტში არსებულ მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის კულტურული ღონისძიებების მოწყობა, ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენა, მხარდაჭერა და წახალისება, მშვილდოსნობის, როგორც ძველი მესხეთის ერთ-ერთი ტრადიციული სპორტის სახეობის პოპულარიზაცია, სპორტულ საზაფხულო ბანაკში (არაქართულენოვანი ახალგაზრდების მონაწილეობით) მშვილდოსნობის სწავლება და განვითარება იყო.

2016 წელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ **„რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მხარდაჭერის“** პროგრამის ფარგლებში, განახორციელა პროექტი **„საქართველოს თასი ლაშქრობაში“.** მასში მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან.“, ასპინძის მუნიციპალიტეტის მოლაშქრეთა გუნდმა ფინალურ თამაშებში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

2019-2023 წლები – მუნიციპალიტეტში, მოზარდ ახალგაზრდებს შორის სასცენო ხელოვნებისა და თეატრის პოპულარიზაციის მიზნით, თეატრს ფინანსური მხარდაჭერის სახით გამოეყო – 12 ათასი ლარი;

რეგიონისა და რესპუბლიკის მასშტაბით, სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებაში მიღწეული წარმატებებისათვის შემოქმედი მოზარდი ახალგაზრდების სხვადასხვა სახის წამახალისებელი მხარდაჭერა დაფინანსდა 6,5 ათასი ლარით; მოსწავლე-ახალგაზრდებში, ცნობიერების დონის ამაღლება წიგნიერების, კულტურული მემკვიდრეობის, გარემოს დაცვისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კუთხით კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების ორგანიზება – 20,5 ათასი ლარი; ზემოთ აღნიშნული პროექტების განხორციელება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა 2019 წლიდან დაიწყო.

**განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებისთვის (2013-2025 წლებში), ყოველწლიურად გათვალისწინებულია 3 957 820 ლარი.**

**2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ასპინძის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები, მათ შორის გაკეთდება ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ანაზომები (70 ათასი ლარი); განხორციელდება ჭაჭკარის (15 ათასი ლარი) სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჩატარდება ვარძიის კლდეში ნაკვეთი უნიკალური ძეგლის დიაგნოსტიკა და ამ კვლევების საფუძველზე მომზადდება საკონსერვაციო გეგმა ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმის ფარგლებში (1 მილიონ 600 ათასი ლარი, 2017-2021 წ.წ.); ჩატარდება ჭაჭკარის სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები (2,3 მლნ ლარი);
- დაგეგმილია ვანის ქვაბების კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების კვლევა/პროექტირება – 500 ლარი;
- ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის მულტიდისციპლინური კვლევა – მონიტორინგი და საკონსულტაციო მომსახურება – 700 ათასი ლარი;
- სოფელ საროში მესხური დარბაზისა და ოდა სახლის რეკონსტრუქცია;
- დაგეგმილია სოფელ ხერთვისის სასოფლო კლუბის შენობის რეაბილიტაცია და სოფელ თმოგვის კლუბის რეაბილიტაცია (275 646 ლარი);
- დაბა ასპინძაში შოთა რუსთაველის სახელობის მუზეუმის მშენებლობა (1,9 მლნ ლარი);
- 2020-2021 განხორციელდება საროს ტიპის ოდა-სახლების რეაბილიტაცია და მათთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა – 2 მლნ ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- 2022 წლისთვის იგეგმება ასპინძის საფეხბურთო სტადიონის სრული რეაბილიტაცია – 850 ათასი ლარი;
- სოფელ ხიზაბავრაში მოეწყობა სხვადასხვა ტიპის ტრენაჟორი – 19 ათასი ლარი;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

# მართლწესრიგი

## დანაშაულის სტატისტიკა

**2017-2020 წლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტში მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:**

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ **ასპინძის მუნიციპალიტეტში** 2017-2020 წ.წ. კრიმინოგენური მდგომარეობა მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 4 შემთხვევა, რომელთაგან ოთხივე ოპერატიულად გახსნილია, ანუ გვაქვს გახსნის 100%-იანი მაჩვენებელი. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში ძალზე იშვიათია, ყოველწლიურად თითო-ოროლა თუ აღირიცხება, მათი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება, ხოლო გასულ 2020 წელს ასეთი დანაშაული საერთოდ არ რეგისტრირებულა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის, **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის **უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.**

## პრობაციონერთა სტატისტიკა

**2016-2019 წწ. ასპინძის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.**

საანგარიშგებო პერიოდში (2017-2020 წ.წ.) პრობაციონერთა რაოდენობა სტაბილურია, მნიშვნელოვნად არ იცვლება, 30-35-ის ფარგლებშია; ამ წლებში მოქმედ პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის არც ერთი ფაქტი არ აღრიცხულა. პრობაციონერთა შორის რეციდივის არ არსებობაც მეტყველებს მუნიციპალიტეტში კრიმინოგენური მდგომარეობის განსაკუთრებულ სიმშვიდესა და სტაბილურობაზე.

სამომავლოდ, პრობაციის სააგენტო გეგმავს პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამების ეფექტიან განხორციელებას და ასევე, მსჯავრდებულთა ადგილზე დასაქმების აქტიურ ხელშეწყობას.

**ასპინძის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ცენტრები.**

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად მუნიციპალიტეტის დასახლებებში, „საზოგადოებრივი ცენტრების“ ამოქმედება დასახელდა. **„საზოგადოებრივი ცენტრი“,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს სოფლიდან გაუსვლელად შეუძლია, მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. „ლიბერთი“ ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიულ სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; ამავდროულად, „საზოგადოებრივი ცენტრი“ განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდენის კვალობაზე „საზოგადოებრივი ცენტრი“ წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისთვის.

ძალიან მნიშვნელოვნია, რომ ასპინძა შეუერთდა იმ მუნიციპალიტეტთა რიცხვს, სადაც წარმატებით ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცენტრი.

**პირველი ასეთი ცენტრი მუნიციპალიტეტში უკვე გაიხსნა ასპინძაში 2020 წლის 14 სექტემბერს და იგი ეფექტიანად ემსახურება მოქალაქეებს.**

სამომავლოდ „საზოგადოებრივი ცენტრების“ მშენებლობა, აღჭურვა და პერსონალის მომზადება ეტაპობრივად მოიცავს მთლიანად მუნიციპალიტეტს, რაც ხარისხობრივად გაზრდის სახელმწიფო თუ მუნიციპალური მომსახურეობის ხარისხსა და მათ ხელმისაწვდომობას ადგილებზე, თვისობრივად ახალ ეტაპზე გაიყვანს ადგილობრივ თვითმმართველობასა და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილებზე სწრაფი განვითარებისთვის.

**ცხ. 1 ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.**

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)<br>მათ შორის, გახსნილი | 1<br>1 | 1<br>1 | 1<br>1 | 0<br>0 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 1<br>1 | 0<br>0 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| სულ<br>მათ შორის გახსნილი | 1<br>1 | 1<br>1 | 2<br>2 | 0<br>0 |

**ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ასპინძის მუნიციპალიტეტში**

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 32 | 34 | 35 | 36 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 0 | 0 | 0 | 0 |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |




# ჩემო ქვირფასებო!

ასპინძა, კუთხე, სადაც დავიბადე, გავიზარდე და მთელი ცხოვრებაა ვსაქმიანობ, სიყვარულის, ერთიანობის, თანადგომისა და მეგობრობის სიმბოლოა. დიდი მოტივაციაა, ემსახურო საკუთარ ხალხს და იზრუნო მშობლიურ მხარეზე. დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს პოლიტიკურ გუნდს, „ქართულ ოცნებას" შესაძლებლობისთვის – მეორედ გავხდე ამ განსაკუთრებული მუნიციპალიტეტის მერი.

განვლილი 4 წლის განმავლობაში უამრავი გამოწვევა გადავლახეთ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელეთ. პანდემიის მიუხედავად, შევძელით, არ გავჩერებულიყავით და ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს არაერთხელ გავუწოდეთ დახმარების ხელი!

რა თქმა უნდა, წინ კიდევ ბევრი გამოწვევაა, თუმცა ახლა, გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარება ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ და სწრაფი ტემპით წინსვლაზე ვიფიქროთ. მერწმუნეთ, ზუსტად ვიცი, როგორ გავაგრძელოთ აღებული კურსი, განვახორციელოთ ის გეგმები, რომელიც უფრო კომფორტულ, ინფრასტრუქტურულად გამართულ, ეკონომიკურად ძლიერ ასპინძას, ბუნებრივი აირისა და სასმელი წყლის პრობლემისგან თავისუფალ სოფლებს მოგვიტანს.

საქმის კეთების მთავარი მოტივაცია ჩემთვის ის დიდი თანადგომაა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ. რომ არა თქვენი მხარდაჭერა და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, ჩვენი მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ გამოწვევათა უმეტესობის დაძლევა შეუძლებელი იქნებოდა. გპირდებით, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის საჭირო თითოეულ ნაბიჯს მომავალშიც თქვენთან უშუალო კომუნიკაციის შემდეგ გადავდგამთ!

მჯერა, ერთად აუცილებლად შევქმნით თანამედროვე, გამწვანებული, კომფორტულ მუნიციპალიტეტს, სადაც განვითარება აქ მცხოვრებ თითოეულ ოჯახს შეეხება.

ასპინძა აუცილებლად გაიმარჯვებს!

## „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.